

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - საჯარო მმართველობის
ანგარიშვალდებულებულების ძირითადი ნიშანი.
საქართველოს მაგალითი

დავით მჟავანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კორძაია, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით მჟავანაძე

02.07.2022 წ.

აბსტრაქტი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რაც ერთის მხრივ მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას მეტი კონტროლი ჰქონდეს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე, ხოლო მეორეს მხრივ ხელისუფლების ყველა შტოს ანგარიშვალდებულს ხდის მოქალაქეების წინაშე, მათი საქმიანობა გახადონ მაქსიმალურ საჯარო და ხელმისაწვდომი.

დამოუკიდებელი საქართველოს 30 წლიანი ისტორიის განმავლობაში ჩამოყალიბდა გადა განვითარდა საჯარო ინსტიტუტები, რომელთა საქმიანობის მონიტორინგი და გამჭვირვალობა, ერთის მხრივ ამ უწყებების გამართულ მუშაობას შეუწყობს ხელს, ხოლო მეორეს მხრივ გაზრდის მოქალაქეების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ნაშრომის მიზანია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პრაქტიკული გამოწვევების ანალიზი, თუ რა ტიპის სამართლებრივი მოწესრიგებაა საჭირო ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობისთვის და რა პრაქტიკული გამოწვევები გვხვდება დღევანდელ რეალობაში, რომლებიც დაუყონებლივ რეაგირებას მოითხოვს.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისობრივი, ანალიტიკური და შედარებით სამართლებრივი მეთოდები, აგრეთვე ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. ნაშრომი ეფუძნება საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ რელევანტურ ქართულ და უცხოურ ლიტერატურას და ანალიტიკურ სტატიებს. აგრეთვე დამუშავებულია საქართველოს საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ქართული საკანონმდებლო მოწესრიგება სრულყოფილად ვერ პასუხობს საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობის კუთხით არსებულ გამოწვევებს და მთელი რიგი მიმართულებებით ის საჭიროებს განახლებას, რისთვისაც ერთის მხრივ საჭიროა მოცულობითი იურიდიული სამუშაოს გაწევა, ხოლო მეორეს მხრივ ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნების გამოვლენა.

ძირითადი სამიუბო სიტყვები: საჯარო ინფორმაცია, ინფორმაციის
ხელმისაწვდომობა, კანონისმიერი შუზლუდვა, ინფორმაციის კომისიონერი

Abstract

Public availability of information is one of the most important parts of democratic country. It gives the possibility to people to control their governments and on the other hand, all branches of government are accountable about their activities.

In the last 30 years, when Georgia is independent country, many public institutions were created and developed. Thus, monitoring of their activities will help them to increase the quality of service and moreover, this will strengthen participation of citizens in the decision making process.

The aim of this report is to analyse legal and practical challenges about publicity of information. What kind of changes are necessary to adapt Georgian law to modern standards and what practical problems have to be solved immediately.

There are several survey methods to describe the whole picture appropriately. First of all analytical, qualitative and comparative methods are used in this report. Besides, there are some semi structured interviews and relevant Georgian and foreign literature. Additionally, there are some court decisions, including relevant constitutional court decisions about availability of public information.

The results of this report show us clearly that the Georgian legal system does not respond to the current challenges appropriately and it needs to change immediately. There is necessary a lot of judicial work and government's commitment to change current situation.

Keywords: Public information, availability of information, restriction by law, information commissioner